პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 247 (4497)

1971 წ. 12 დეკემბერი, კვირა.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დღეს ნომერში

საუბარი სამამულო ფეხბურთის საჭირბოროტო ამბებზე

1972 წლის საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური — 3 აპრილს

ცნობილ ტანმოვარჯიშეთა სამჭედლოს 25 წლისთავი

ოლიმპიური წელი არა მარტო ოლიმპიელთათვის!

სრული დატვირთვა ყოველ ბაზას!

1972 წელი განსაკუთრებულია სპორტულ კალენდარში. ესაა მორიგი ოლიმპიადების წელი: ზამთრის თამაშებისა — საპოროში, ზაფხულის თამაშებისა — მიუნხენში. საბჭოთა ოლიმპიელთა წარმატებები ამ უდიდეს შეჯიბრებებში დიდადაა დამოკიდებული მანამდე დარჩენილი დროის გონივრულად გამოყენებაზე. აქ კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზამთრის სეზონისთვის სპორტული ბაზების — სტადიონებისა და დარბაზების, მოედნებისა და აუზების, ტირებისა და მანეჟების, ტრამპლინებისა და სათხილამურო ტრასების მზადყოფნას.

მაგრამ ოლიმპიური წელი მარტო ოლიმპიელებისთვის როდია საინტერესო. მილიონობით ფიზკულტურელი და სპორტსმენი ზამთრობითაც აგრძელებს წვრთნას. ისინი გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრებაში არა მარტო ზამთრის, არამედ აშკარად საზაფხულო სახეობებშიც. სწორედ ახლა, ზამთარში უნდა ივარჯიშონ კარგად, რათა უფრო გვიან, დარბაზებიდან სუფთა ჰაერზე გასვლის შემდეგ, საზაფხულო სტარტებისთვის მომზადებული აღმოჩნდნენ.

როგორ მოამზადეს თავიანთი ბაზები ზამთრისთვის სპორტულმა საზოგადოებებმა, ტურისტულმა ორგანიზაციებმა, ფიზკულტურის კოლექტივებმა, სპორტკლუბებმა? ამაზე გვიამბობენ მასალები რეიდისა, რომელიც ზამთრის სეზონისთვის სპორტული ბაზებისა თუ ნაგებობების მზადყოფნისა და უნარიანად გამოყენების შესამოწმებლად ეწყობა. ამ შემოწმება-რეიდის ჩატარება ამას წინათ გადაწყვიტეს საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა.

რეიდის მთავარი ამოცანებია არსებული ბაზების, ნაგებობებისა და მოედნების მაქსიმალური დატვირთვის ორგანიზაცია, ახალი სპორტული მოედნებისა და სათხილამურო ტრასების მშენებლობა, ქალიშვილებისა და ჭაბუკების, ბავშვებისა და მოზარდების ჩაბმა ფიზკულტურასა და სპორტში, ზამთრის სახეობათა ფართო პოპულარიზაცია, მასობრივი სტარტების მოწყობა სათხილამურო რბოლაში, ციგურაობაში, ჰოკეიში, ფიგურულ ციგურაობაში დევიზით: „ოლიმპიური წელი არა მარტო ოლიმპიელებისთვის!“, ქალაქგარე სათხილამურო და ტურისტული ბაზების ეფექტური გამოყენება, სპორტულ ნაგებობათა უნარიანად გამოყენება დასვენებისა და უქმესწინა დღეებში, დღის საათებში სტადიონების, სპორტის სასახლეების, აუზების, სპორტული დარბაზების, საციგურაოების, სათხილამურო ბაზების უსასყიდლო მუშაობა ბავშვებისა და მოზარდებისთვის.

გაითვალისწინეს რა ჩვენი რესპუბლიკის პირობები, სადაც ყველგან როდია სპორტის ზამთრის სახეობებში მასობრივი შეჯიბრებების მოწყობის საშუალება, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღეს შესაბამისი დადგენილება. ეს დადგენილება კომკავშირის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ფიზკულტურისა და სპორტის შესაბამის კომიტეტებს ავალებს უზრუნველყონ რეიდის ძირითად ამოცანათა გადაჭრა, ამ საქმეში აქტიურად ჩააბან კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები, შტაბები და „კომკავშირული პროჟექტორის“ რაზმები, სპორტსმენები და მწვრთნელები, ფიზაღზრდის სპეციალისტები, ფიზკულტურის მასწავლებლები, ფართო საზოგადოებრივი აქტივი.

შემოწმება-რეიდის მასალები აუცილებელია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მისამართით გაიგზავნოს არა უგვიანეს 1972 წლის 10 იანვრისა.

„ავტო-მოტოსპორტი-72“

რალი „საბჭოთა კავშირი-72“ ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი შეჯიბრება იქნება საავტომობილო სპორტში. ეს გამოცხადდა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 10 დეკემბერს მოსკოვში მოაწყვეს ჟურნალმა „ზა რულიომ“, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრეს-ავტოკლუბმა, სსრ კავშირის საავტომობილო და მოტოსპორტის ფედერაციებმა. შეჯიბრების მარშრუტი ქვეყნის ბევრ ქალაქზე გაივლის. მრბოლელები 12 ათას კილომეტრზე მეტს გადალახავენ საათში 90 კმ სიჩქარით.

18-22 თებერვალს მოეწყობა სსრ კავშირის ზამთრის გუნდური პირველობა რალიში (სტარტი და ფინიში — ტალინში). ვარაუდობენ, რომ საბჭოთა სპორტსმენები გამოვლენ ევროპის პირველობაში, სოციალისტური ქვეყნების თასის გათამაშებაში (რალი „ოქროს ქვიშა“ ბულგარეთში, „რეიდ პოლსკი“ პოლონეთში, „ვლტავა“ ჩეხოსლოვაკიაში, „ვარტბურგი“ გდრ-ში), შეჯიბრებაში „ევროპის ტური-72“. სწორედ ამ ასპარეზობაში დაიკავეს I ადგილი გუნდურ ჩათვლაში და ოქროს თასი დაისაკუთრეს სსრ კავშირის მრბოლელებმა, რომლებიც „მოსკვიჩი-412“ მარკის მანქანებით გამოდიოდნენ. საბჭოთა გუნდმა „ჟიგულებით“ II ადგილი და ვერცხლის თასი მოიპოვა.

სსრ კავშირის პირველობა სარბოლო ავტომანქანებით 1972 წელს სამ ეტაპად მოეწყობა (მინსკში 1-6, რიგაში 17-26, ტალინში 24-27 აგვისტოს).

არანაკლებ დატვირთული კალენდარი აქვთ მოტომრბოლელებსაც. 12-13 თებერვალს ჩატარდება საკავშირო ჩემპიონატების ფინალები ყინულზე რბოლაში სხვადასხვა კლასის მოტოციკლებით — 125 კბ სმ-მდე მანქანებისთვის: კამენსკი-ურალსკი; 175 კბ სმ — აბაკანი; 350 კბ სმ — ვიატსკიე პოლიანი.

500 კბ სმ მანქანებით შეჯიბრება კუიბიშევში ჩატარდება 5-9 თებერვალს. ფინალი წიდოვან ბილიკზე რბოლაში უფაში მოეწყობა 12-13 აგვისტოს.

სსრ კავშირის მოტოციკლისტები მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონატებში კროსში, წიდოვან და ყინულის ბილიკებზე რბოლაში, მოტობურთელთა შორის ევროპის თასის გათამაშებაში.

პრეს-კონფერენციაზე ცნობილი გახდნენ „ქარხნების ნადავლის“ პირველი მფლობელნი (ეს პრიზი დააწესა ჟურნალმა „ზა რულიომ“) — ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის სპორტსმენები. პრიზი ეძლევა იმ ავტოქარხანას, რომლის მრბოლელებიც ქვეყნის ჩემპიონატში სხვებზე მეტ ქულას მოაგროვებენ. (საკდესი).

მომავალი ჩემპიონები

ყოველ წელიწადს მკაცრი შერჩევის შემდეგ ექვსი-შვიდი წლის 150 ბავშვს იღებენ მოსკოვის საბჭოთა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ნორჩ ჰოკეისტთა სკოლაში. ამ კლუბის უფროსების გუნდი 16-ჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. გასაგებია, რომ ბავშვთა სკოლაში მეცადინეობის მსურველი ბევრია. აქ მუდმივად მომუშავე მწვრთნელებს დახმარებას არ აკლებენ საბჭოთა და მსოფლიო ჰოკეის ისეთი ცნობილი ვარსკვლავები, როგორიც არიან ა. ფირსოვი, ვ. ვიკულოვი, ვ. ხარლამოვი, ა. რაგულინი, ვ. კუზკინი და კლუბის სხვა მოთამაშეები.

ბავშვთა სკოლაში 350-370 ბიჭი მეცადინეობს. ბავშვები ოთხ წელიწადს მოსამზადებელ ჯგუფში არიან, შემდეგ გადადიან ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ჯგუფებში, მერე კი საუკეთესოებს კლუბის ოსტატთა გუნდში იწვევენ. ცსკა-ს ვეტერანი ჰოკეისტები მწვრთნელებს ეხმარებიან ნიჭიერი ახალგაზრდების აღზრდაში თავიანთი სპორტული კლუბისთვის. ცსკა-ს ჭაბუკთა და ახალგაზრდულ გუნდებს ბევრჯერ მოუპოვებიათ გამარჯვება მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში. საბჭოთა არმიის სპორტკლუბის ბავშვთა სკოლაში ჰოკეის ბევრი ცნობილი ოსტატი აღიზარდა. მათ შორის არიან წევრები საბჭოთა ნაკრებისა, რომელიც უკვე ზედიზედ მერვე წელიწადია არ თმობს მსოფლიო ჩემპიონობას.

• • •

სურათზე: ნორჩ მეკარეებს ავარჯიშებს ცსკა-სა და სსრ კავშირის ნაკრების მეკარე, მსოფლიო ჩემპიონი ვ. ტრეტიაკი.

დ. დონსკოის ფოტო.
(ახალი ამბების სააგენტო).

სპორტული ქრონიკა

ბოლო მატჩი

დამთავრდა საქართველოს პირველობა ფეხბურთში. ბოლო მატჩში თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ზუგდიდის „დინამო“. თამაში ფრედ დამთავრდა — 2:2.

საუბარი ტელეფონით

თასს უნგრელები უმიზნებენ

იუგოსლავიის აგარაკ ვრნიაჩკა-ბანიაში გრძელდება ევროპის ქვეყნების მოჭადრაკე ჩემპიონ ქალთა თასის III გათამაშება, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილიც მონაწილეობს. გუშინ „ლელოს“ კორესპონდენტი, როგორც იქნა, ნონას ტელეფონით ესაუბრა (ამ დღეებში ვრნიაჩკა-ბანიაში დიდი თოვლი მოვიდა და სამი დღე სატელეფონო კავშირი არ იყო).

— ყველა ინტერესით ველოდით გადადებული პარტიების დამთავრების დღეს, ვინაიდან 12 პარტია იყო სათამაშო. ჯერ ჩემი სამი პარტიის შესახებ, — თქვა ნონამ. — ვერეცისთან პარტია რთულ პოზიციაში მქონდა შეწყვეტილი. თამაშის განახლების წინ უნგრელმა მოჭადრაკემ ყაიმი შემომთავაზა. რა თქმა უნდა, ცუდი სტარტის შემდეგ დაზავებაზე უარი ვუთხარი. თამაში კიდევ უფრო გავართულე ჩემი პოზიციის საზიანოდ. ვერეციმ შესძლო უპირატესობის მიღება და დავმარცხდი. როცა გეორგიევასთან დავჯექი სათამაშოდ, გამოირკვა, რომ უჭირო სვლა ჩამეწერა. ბულგარეთის ჩემპიონმა თავი გაართვა დაცვას და ყაიმს ვერ გავექეცი. რა დასამალია, გუნება გამიფუჭდა, მაგრამ იოვანოვიჩთან ძალიან ფხიზლად ვითამაშე და გავიმარჯვე.

სხვების შედეგები კი ასეთია: ერესკა — გეორგიევა 0,5:0,5, ტიმენი — იოვანოვიჩი 1:0, ვერეცი — პოლიქრონიადე 0,5:0,5, გეორგიევა — ტიმენი 1:0, ერესკა — ტიმენი 0:1, ვასნეცკი — ვერეცი 0:1, კონარკოვსკა-სოკოლოვა — ივანკა 1:0, ერესკა — იოვანოვიჩი 1:0, ვასნეცკი — ეიდერმანი 1:0.

ხუთშაბათს დასვენების დღე გვქონდა. ყველანი აგარაკ ჩაჩაკში (იგი ვრნიაჩკა-ბანიას 80 კილომეტრითაა დაშორებული) გავემგზავრეთ. აქ გაიმართა შეჯიბრება ელვისებურ თამაშში. ბრძოლაში ჩვენი ტურნირის ყველა მონაწილე და ექვსი ოსტატობის კანდიდატი ვაჟი ჩაება. პირველი ადგილი 15 ქულით 17-დან მე დავიკავე, მეორე — პოლონელმა ერესკამ (13 ქულა), მესამე — მოჭადრაკე ვაჟმა ლაზარევიჩმა (12,5).

პარასკევს მეშვიდე ტური გაიმართა. დამთავრდა მხოლოდ ორი პარტია: ვერეციმ მოუგო ეიდერმანს, მე კი ტიმენს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

შვიდი ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: უნგრელი ვერეცი — 5,5 ქულა, მისი თანამემამულე ივანკა — 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ერესკა — 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ჩეხოსლოვაკიელი ვოკრჟალოვა და რუმინელი პოლიქრონიადე — 4-4 ქულა და თითო გადადებული პარტია. 3,5-3,5 ქულა გვაქვს იუგოსლავიელ კონარკოვსკა-სოკოლოვას, ბულგარელ გეორგიევას და მე, ოღონდ მათ თითო პარტია აქვთ გადადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასაჭრელი საკითხები

გ. სიხარულიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე

მართალია, ფეხბურთის მატჩების დროს ანშლაგი იშვიათობად იქცა, მაგრამ ინტერესი თამაშის მიმართ მაინც არ დაშცხრალა. საყურადღებო საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებების ტელერეპორტაჟებით განებივრებულ მაყურებელთა ნაწილი ამჯობინებს თამაშს უყუროს არა სტადიონზე, არამედ შინ, კომფორტულ პირობებში. და მაინც, ფეხბურთი უწინდებურად რჩება ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ სახეობად მთელს მსოფლიოში. ამიტომ ამ თამაშის კლასის გაუმჯობესებას ყველგან მაღალი მომთხოვნელობით უდგებიან.

თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა სპორტის განვითარების დონეს და იმ დიდ ყურადღებას, რომელიც მას ეთმობა ჩვენში, საზოგადოებრიობას უფლება აქვს მოსთხოვოს ფეხბურთელებს მოწინავე ადგილების დაკავება საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ჩვენი ფეხბურთი ერთ ადგილზე არ დგას, განუწყვეტლივ ვითარდება და წინ მიდის. ყველა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში სსრ კავშირი ასე თუ ისე მიღწევებით გამოდის, იკავებს მაღალ ადგილებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ საბჭოთა ფეხბურთელებს ამ შეჯიბრებებში მონაწილეობა მოუხდათ იმ ქვეყნების ნაკრებ გუნდებთან ერთად, სადაც ფართოდაა განვითარებული პროფესიული ფეხბურთი და ჩვენი ნაკრების წინ აღმოჩნდნენ სწორედ ასეთი ქვეყნების (ბრაზილია, ინგლისი, იტალია და გფრ) წარმომადგენლები. ამიტომ მისი გამოსვლები დამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ამგვარი შეფასება სადღეისოდ უკვე აღარაა საკმარისი. ფეხბურთის მოყვარულთა მრავალმილიონიანი არმია ფეხბურთელთაგან ელის არა დამაკმაყოფილებელ, არამედ საუკეთესო, პირველხარისხოვან გამოსვლებს. რა უშლის ხელს მათ ამ ამოცანის შესრულებაში?

არ შეიძლება არ ჩავუფიქრდეთ იმ ფაქტს, რომ 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის წოდების მოპოვების შემდეგ სსრ კავშირის გუნდმა ვერაფრით შეძლო დაეძლია შესარჩევი თამაშების ზღუდე და ფინალური ტურნირის 16 მონაწილეს შორის გასულიყო. ევროპულ საკლუბო ტურნირებში მონაწილე ჩვენი გუნდები, აგრეთვე, ჭაბუკები, ერთობ უფერულად გამოიყურებიან. ამას გარდა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის წამყვან გუნდებში გამოჩნდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები (პაპაევი, კისელიოვი — მოსკოვის „სპარტაკში", კოზლოვი, ავრუცკი — მოსკოვის „დინამოში", გერშკოვიჩი — მოსკოვის „ტორპედოში", კოპეიკინი, დუდარენკო — ცსკა-ში, ლ. ნოდია, გ. გავაშელი — თბილისის „დინამოში" და სხვ.), მაგრამ მათი ტალანტი ბოლომდე მაინც არ გაშლილა.

თუ განვაზოგადებთ ყველა ზემოთ მოყვანილ ფაქტს, იმ დასკვნას გამოვიტანთ, რომ წვრთნის საქმეში როგორც ბავშვთა და მოზარდთა, ისე მოზრდილთა გუნდებშიც (უმაღლესი ლიგის კოლექტივები გამონაკლისად არ მიგვაჩნია), ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ვიმეორებთ: ეს ხარვეზები დამახასიათებელია საორგანიზაციო და სასწავლო-საწვრთნელი პროცესისთვის ყველა რგოლში, ბავშვთა ჯგუფებიდან უმაღლეს ლიგამდე. ამ წერილში საუბარი გვექნება ოსტატთა გუნდებზე.

უმაღლეს ლიგაში თითქოს ყველა პირობაა შექმნილი სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მაღალხარისხოვნად ჩატარებისთვის: მუშაობენ კვალიფიციური მწვრთნელები, არის სპორტული ბაზები (თუმცა, მხოლოდ საკუთარ ქალაქებში და არა სამხრეთში, სადაც ისინი საგაზაფხულო სამზადისს გადიან). რაშია საქმე, რატომ ასე ნელი ტემპით ხდება მოთამაშეთა ოსტატობის ზრდა?

უმაღლესი ლიგის გუნდებში სასწავლო-საწვრთნელ პროცესს უპირველესად ყოვლისა აფერხებს არასრულყოფილი კალენდარი და შეჯიბრებათა ცუდი ორგანიზაცია. ამ საკითხზე ჩვენ არაერთხელ გამოვთქვით გარკვეული მოსაზრებანი პრესაში, მაგრამ, ვინაიდან მდგომარეობა უცვლელია, საჭიროდ მიგვაჩნია ნათქვამში კიდევ ერთხელ გავიმეოროთ.

მიუხედავად საკავშირო პირველობის კალენდრის ერთგვარი სტაბილიზაციისა, მას ჯერ კიდევ ახასიათებს ბევრი ნაკლი. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია არითმია თამაშებს შორის ინტერვალებში და დიდი ფანჯრები, აგრეთვე, შიდასაკავშირო კალენდრის შეუთანხმებლობა საერთაშორისო შეხვედრათა განრიგთან. სწორედ ესაა ყველა უბედურების სათავე.

ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, სსრ კავშირის ჩემპიონატი გრძელდება 8 თვეზე მეტ ხანს, ესე იგი ფეხბურთელთა მოსამზადებელი პერიოდი სხვა სახეობათა წარმომადგენლებთან შედარებით მოკლეა.

ფეხბურთელის წვრთნა მოიცავს საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას, მუშაობას ტექნიკური ოსტატობის, თამაშის ტაქტიკის სრულყოფაზე, და იგი უნდა წარმოებდეს მთელი წლის მანძილზე, რა თქმა უნდა, შეჯიბრების პერიოდშიც. ამაშია საფეხბურთო კოლექტივებში სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ერთ-ერთი თავისებურება, რომლის დროსაც საჭიროა კვირაში ერთი მეცადინეობის ჩატარება დიდი მოცულობით და ინტენსივობით. ეს მოთხოვნა ეყრდნობა სპორტული პრაქტიკისა და მრავალგვარი სამეცნიერო გამოკვლევის მდიდარ გამოცდილებას. მაგრამ მისი განხორციელება პრაქტიკაში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ინტერვალები თამაშებს შორის შეადგენს არანაკლებ 6-7 დღეს. მაღალი დატვირთვით ვარჯიში შეიძლება მატჩიდან მხოლოდ 2 დღის შემდეგ, ხოლო საპასუხისმგებლო თამაშის ჩატარება შეიძლება ასეთი ვარჯიშიდან მხოლოდ 3 დღის შემდეგ. სანამ საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში წესრიგი არ დამყარდება, სანამ თამაშები რიტმული ინტერვალებით არ დაიგეგმება, საწვრთნელი პროცესი გუნდებში სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. ექსპერიმენტები 20-22 გუნდით უმაღლეს ლიგაში ძვირად გვიჯდის და ამიტომაა, რომ თამაშის კლასი ჯერ კიდევ დაბალია.

გუნდების რაოდენობა უმაღლეს ლიგაში არ უნდა აღემატებოდეს 15-16 ერთეულს, წინააღმდეგ შემთხვევაში გვხვდება თამაშებს შორის ინტერვალების დამოკლება, კლუბების შეუსუსტება ნაკრები გუნდების შეხვედრებისას და სსრ კავშირის ჩემპიონატის ნორმალური სვლის შეფერხება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როცა ჩვენი კლუბები გამოდიან სამ ევროპულ საკლუბო გათამაშებაში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უმაღლესი ლიგის თამაშების კალენდარი იგეგმება ისე, რომ გუნდები სეზონს იწყებენ, როცა მინდორზე გაუვალი ტალახია და ამთავრებენ თოვლით ან ყინულით დაფარულ ბალახზე. ყველა ეს არანორმალური მოვლენა შეიძლება ავიცილოთ თავიდან, თუ ადრეული გაზაფხულისა და გვიანი შემოდგომის მატჩებს სამხრეთის სტადიონებზე ჩავატარებთ. გარკვეული, მაგრამ ჯერ კიდევ ერთობ მორიდებული ნაბიჯები ამ მხრივ ფეხბურთის საკავშირო სამმართველომ გადადგა, მაგრამ ასეთი „სანახევრო" ღონისძიებებით საქმეს ვერ გადავჭრი. კალენდარული თამაშები შეიძლება დაინიშნოს სამხრეთის ქალაქების ნეიტრალურ მინდვრებზე, განსაკუთრებით იქ, სადაც უმაღლესი ლიგის წარმომადგენლები არ არიან. ეს ღონისძიება, თუნდაც დროებითი, საჭიროა, სანამ თუნდაც ერთი გადახურული სტადიონი გვექნება.

ჩვენ არაერთხელ გამოგვითქვამს მოსაზრება, რომ საჭიროა ჩატარდეს ოფიციალური შეჯიბრება რესპუბლიკათა ნაკრები გუნდების დონეზე, რომ ყოველწლიურად უნდა მოეწყოს სსრ კავშირის თასის გათამაშება რესპუბლიკათა ნაკრები გუნდებისთვის და ფეხბურთი შევიდეს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში. ყოვლად გაუგებარი მიზეზებით ეს წინადადებები უპასუხოდ რჩება. რესპუბლიკათა ნაკრები გუნდების დონეზე შეჯიბრებათა ჩატარება მეტისმეტად საჭიროა ფეხბურთის კლასის ზრდის სტიმულირებისთვის. ამასთან, ხშირად უნდა მოვაწყოთ ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებები, თორემ ამჟამად არსებული წესი მოთამაშეთა აღზრდისა დუბლიორთა გზით, თავის მიზანს ვერ ამართლებს. უმაღლესი ლიგის დუბლიორთა გუნდების შეჯიბრებები უინტერესოდ ტარდება და მოთამაშეები ხშირად მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით თამაშობენ.

რესპუბლიკების ახალგაზრდული ნაკრები გუნდების სტიმულირების მიზნით შეიძლება დავაწესოთ საინტერესო უცხოური ტურნეები პირველ სამ ადგილზე გასული კოლექტივებისთვის.

ჩვენი ფეხბურთელების კლასი ნელი ტემპით იზრდება იმის გამო, რომ მათ არა აქვთ შექმნილი საჭირო პირობები სისტემატური, სრულწლიური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისთვის. ყველა წინადადება, რომლებიც დაკავშირებულია უმაღლესი ლიგის გუნდების შეჯიბრებათა კალენდრის მოწესრიგებასთან, გამომდინარეობს სწორედ იქიდან, რომ წამყვან მოთამაშეებს შევუქმნათ მათი ოსტატობის სისტემატური ზრდის შესაძლებლობა.

მაგრამ სასწავლო-საწვრთნელი პროცესის რაციონალური წარმოებისთვის უნდა გადაიჭრას ზოგიერთი სხვა, ერთობ დიდმნიშვნელოვანი საკითხიც. უპირველესად ყოვლისა, კადრების საკითხი (მწვრთნელები, ფეხბურთელები, მსაჯები, ხელმძღვანელები, ადმინისტრატორები, ექიმები, მასაჟისტები).

ჩვენს ფეხბურთში მუშაობდნენ და მუშაობენ ისეთი მწვრთნელები, როგორიც არიან ბ. არკადიევი, ა. ჟორდანია, მ. იაკუშინი, გ. კაჩალინი და სხვანი, რომლებიც გამოცდილებით, ცოდნით, კვალიფიკაციით არ ჩამოუვარდებიან უცხოელ სპეციალისტებს, აღზრდილი ჰყავთ უმაღლესი კლასის ოსტატთა მთელი პლეადა და ბევრი რამ ახალი შეუტანიათ ფეხბურთის თეორიასა და პრაქტიკაში, მაგრამ მათ, სამწუხაროდ, უკვე მიაღწიეს გარკვეულ ასაკს, ღირსეული ცვლა კი, პირდაპირ უნდა ითქვას, ჯერ არ ჩანს. მწვრთნელთა შერჩევის საქმეში დღეს დიდი სიძნელეებია ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდებისთვისაც კი, კლუბებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. საბჭოთა ფეხბურთს ესაჭიროება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც აღჭურვილი არიან ღრმა მეცნიერული ცოდნით, აქვთ დიდი პრაქტიკული გამოცდილება და ზედმიწევნით კარგად ფლობენ პედაგოგის ხელოვნებას. ასეთები უნდა ვეძიოთ უმაღლესი ლიგის წამყვან ფეხბურთელთა შორის, ვეძიოთ დისციპლინიან, ნიჭიერ, თეორიული ცოდნის მქონე ადამიანთა შორის. ასეთი კანდიდატები უნდა დავახმაროთ მწვრთნელებს სავარჯიშო მეცადინეობებზე, მივცეთ დაუსწრებელი უმაღლესი სპეციალური განათლება. ფეხბურთის საკავშირო სამმართველო გარკვეულ მუშაობას ეწევა ამ მიმართებით, ყოველწლიურ სემინარებსა და სასწავლო-მეთოდურ კონფერენციებზე ცნობილ უცხოელ სპეციალისტებსაც იწვევს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ სემინარების პროგრამა საგრძნობლად უნდა გაიზარდოს. შეიძლება საჭიროა მწვრთნელები შევკრიბოთ სემინარზე ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო სემინარის ხანგრძლიობა ავიყვანოთ 40-45 დღემდე, ამასთან, პრაქტიკულ მეცადინეობებზე მოვიწვიოთ საუკეთესო სპეციალისტები, მათ შორის, უცხოელებიც.

მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება კარგად მოწესრიგებულ ინფორმაციას. აქ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებს. საზღვარგარეთულ ტურნეში მყოფი გუნდების მწვრთნელებს უნდა დავავალოთ შინ დაბრუნებისას დაწვრილებითი ანგარიში ჩააბარონ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას და ეს ანგარიშები საჭიროა დაეგზავნოს ოსტატთა ყველა გუნდს. უნდა გაიზარდოს აგრეთვე მეთოდური წერილების დაგზავნა როგორც მოზრდილ, ისე ჭაბუკ ფეხბურთელებთან მომუშავე მწვრთნელებისთვის. რიგ შემთხვევებში მუშაობა ოსტატთა გუნდებშიც კი ტარდება „თვალის საზომით", ზუსტი გეგმიანობის გარეშე. დატვირთვის დოზირება, წვრთნის საშუალებათა ამორჩევა და ა. შ. ხშირად წარმოებს მწვრთნელის გამოცდილებისა და ინტუიციის მიხედვით. ეს მაშინ, როცა მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელები დღეს უკვე ეგრეთ წოდებულ „პროგრამირებულ წვრთნაზე" გადადიან.

სამწუხაროდ, პროგრამირებულმა წვრთნამ ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა საჭირო ადგილი ჩვენი ფეხბურთელების ვარჯიშში, თვით უმაღლეს ლიგაშიც კი. კიდევ არიან მწვრთნელები, რომლებსაც საკონტროლო ვარჯიშები ნორმატივებად მიაჩნიათ, ეს კი სრულიად განსხვავებული ამბებია. საკონტროლო ვარჯიშებს, კერძოდ, ერთობ ფრცლად მიმართავდნენ ბრაზილიის ნაკრები გუნდის მზადებისას მეხიკის 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

ბრაზილიელები ამ ვარჯიშებს მიმართავენ ყოველთვიურად და შედეგებს გაზეთებში აცხადებენ. ამით იქ ხდება კონდიციების სისტემატური შემოწმება. ბრაზილიაში მოთამაშეს კი არ აძულებენ ნორმატივები ჩააბაროს წელიწადში ერთი-ორჯერ, არამედ მთელი წლის მანძილზე აგრძელებენ საერთო და სპეციალურ ფიზიკურ შედეგებს, რომლის შედეგებზეც სისტემატური კონტროლია დაწესებული.

გადავხედოთ ბრაზილიელთა ერთ-ერთ ასეთ უბრალო საკონტროლო ვარჯიშს. ფეხბურთელს დავალება ეძლევა რაც შეიძლება მეტი მანძილი დაფაროს 12 წუთში. თუ ამ დროში სპორტსმენი 2400 მეტრზე მეტს ვერ გაირბენს, იგი სუსტადაა მომზადებული, 2600 მეტრი ნიშნავს დამაკმაყოფილებელს, 2800 მეტრი — საშუალო მომზადებას, 2800-დან 3000-მდე — კარგს, ხოლო 3000 მეტრზე ზევით — საუკეთესო მომზადებას.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფეხბურთელთა წვრთნის მეცნიერულ უზრუნველყოფას, რაც დიდად შეუწყობს ხელს საბჭოთა ფეხბურთის კლასის ამაღლებას.

ჩვენ უწინ წამოვჭრით საკითხი იმის თაობაზე, რომ საჭიროა მოეწყოს მოკლევადიანი ტურნირები უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის უცხოეთის საუკეთესო კოლექტივების მოწვევით. ძალზე სასიხარულოა, რომ ეს წინადადება უკვე განხორციელდა, მაგრამ აქაც საჭიროა თანმიმდევრობა და მიზანდასახულობა. ასეთი ტურნირები შემთხვევიდან შემთხვევამდე კი არ უნდა დაიგეგმოს, არამედ ჩატარდეს იმ ვადებში, როცა იგი აუცილებლობითაა გამოწვეული, როცა, მაგალითად, საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში არის წინასწარ გათვალისწინებული ფანჯრები, განპირობებული, ვთქვათ უძლიერეს მოთამაშეთა გაწვევით ნაკრებ გუნდებში, ან სხვა რაიმე მიზეზებით. გამოცდილება გვიკარნახებს, რომ წინასასეზონო ტურნირებიდან და ამავე პერიოდის უცხოური მგზავრობიდან სახეირო ვერაფერი მივიღეთ.

ზედმეტად მიგვაჩნია მოვიყვანოთ ფაქტები, როცა გუნდები (ცსკა, თბილისის „დინამო", მოსკოვის „სპარტაკი", მოსკოვის „ტორპედო" და სხვ.) წინასასეზონო უცხოური ტურნეს შემდეგ ერთობ წარუმატებლად გამოდიოდნენ საკავშირო ჩემპიონატში.

უნდა ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა ფეხბურთს დიდ სარგებლობას მოუტანს ფართო მასშტაბით გამოცდილების გაზიარება უცხოეთის ქვეყნების ფეხბურთელებთან. საზღვარგარეთულ უძლიერეს გუნდებთან სისტემატური ურთიერთობა ფაქტიურად აქვთ მხოლოდ ჩვენს ნაკრებ კოლექტივებს და უმაღლესი ლიგის მხოლოდ რამდენიმე გუნდს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საერთაშორისო შეხვედრათა დაგეგმვაში ფეხბურთის საკავშირო სამმართველო არღვევს სისტემატურობის პრინციპს. იქმნება გაუგებარი სიტუაციები: საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის სათავეში მდგომი გუნდები ზოგჯერ ან სავსებით მოკლებული არიან უძლიერეს საზღვარგარეთულ გუნდებთან შეხვედრის საშუალებას, ან ეთამაშებიან მეორეხარისხოვან კოლექტივებს. მეორე მხრივ, არის შემთხვევები, როცა გუნდები გარკვეულ მომენტში სათანადო ფორმაში არ არიან, ძალზე ძლიერ მეტოქეებს ხვდებიან და, ბუნებრივია, მარცხდებიან, რაც ზიანს აყენებს საბჭოთა სპორტის პრესტიჟს (მაგალითად, ლენინგრადის „ზენიტი" და ურუგვაის „ნასიონალი" — 0:4, მოსკოვის „ტორპედოს" მარცხიანი გამოსვლა სამხრეთ ამერიკაში და სხვ.). არ შეიძლება ძლიერ უცხოურ კლუბებთან სათამაშოდ გაიგზავნოს ჩვენი წამყვანი კლუბები იმ პერიოდში, როცა ისინი სათანადო ფორმაში არ არიან. ასეთი იყო თბილისის „დინამოს" გამოსვლა იტალიის ქალაქებში წლევანდელ ადრიან გაზაფხულზე. საერთაშორისო შეხვედრათა კალენდარი 2-3 წლით ადრე უნდა დაიგეგმოს და ზუსტად განხორციელდეს.

ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდების (ეროვნული, ოლიმპიური და ახალგაზრდული) შეხვედრათა კალენდარი გეგმაზომიერად უნდა შეეფარდებოდეს საკავშირო ჩემპიონატის კალენდარს. არაერთხელ დასმულა საკითხი იმის თაობაზე, რომ ყველა საკლუბო გუნდმა სსრ კავშირის პირველობაზე უნდა ითამაშოს სრული შემადგენლობით, ვინაიდან უამისოდ ჩემპიონატი ბევრ რამეს კარგავს როგორც სპორტული, ისე სანახაობრივი თვალსაზრისით და ვერ ავლენს მონაწილეთა ძალის ჭეშმარიტ შეფარდებას.

(დასასრული იქნება)

სურათზე: თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი ზრინჯაოს მედლებით დაჯილდოების საღამოზე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ტექნიკუმელთა საპატიო სტუმრები

ამ დღეებში თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის ფიზკულტურელმა კოლექტივმა შეხვედრა მოუწყო ამავე ტექნიკუმის მოსწავლე მთამსვლელთა ჯგუფს, რომელიც მონაწილეობდა რესპუბლიკის სპარტაკელთა მიერ ყაზბეგის რაიონში საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად მოწყობილ მასობრივ ალპინიადაში. იმ 85 კაცს შორის, რომლებიც მწვერვალ გორზე (4200 მ) ავიდნენ, იყო ტექნიკუმის მთამსვლელთა სექციის ხელმძღვანელის რ. გურგენიძის 18 აღსაზრდელი, მათ შორის, 7 ქალიშვილი.

მოსწავლეთა საპატიო სტუმრები იყვნენ ვეტერანი მთამსვლელები — ერთ-ერთი პირველი ქართველი მთამსვლელი ქალი ა. ნიკოლაიშვილი, საქართველოს ალპიური კლუბის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ობოლაძე, რესპუბლიკის მთამსვლელობის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე რ. ხაზარაძე, „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. რობაქიძე და სხვ.

შეხვედრაზე ტექნიკუმის ფიზკულტურულ კოლექტივს გადაეცა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელი, ხოლო მოსწავლე-მთამსვლელებს — პირველი საფეხურის ხამკერდე ნიშნები და მოწმობები.

ნ. ბასილაშვილი.

ფეხბურთი

„დებულებას ზუსტად დავიცავთ“

ასე განაცხადა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ წარმომადგენელთან საუბარში ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ლ. ზინჩენკომ.

როგორც ეს დებულებით იყო გათვალისწინებული, 1972 წელს უმაღლეს ლიგაში ითამაშებს 16 გუნდი.

ტაშკენტის „ფახტაქორი“ და დონეცკის „შახტიორი“ გადავლენ I ლიგაში, ხოლო მათ ადგილებს დაიკავებენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“.

ახლო ხანში შედგება ზუსტი კალენდარი, რომელიც გაითვალისწინებს საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრების ყველა დეტალს. ვინაიდან 28 ან 29 აპრილს საბჭოთა ნაკრები პირველ მეოთხედფინალურ მატჩს ითამაშებს ევროპის ჩემპიონატში, უკვე 29 მარტისთვის დაგეგმილი გვაქვს საერთაშორისო შეხვედრა ბულგარეთის გუნდთან და აპრილის პირველი ნახევრისათვის ჯვინდა მოველაპარაკოთ ასეთივე მატჩის თაობაზე იტალიის ფედერაციას. შეკრება ამ პერიოდში მოკლევადიანი იქნება და შორეულ მგზავრობებზე უარი ვთქვით. ნაკრების მოთამაშეები ძირითად მზადებას თავიანთ კლუბებში გაივლიან.

შემდგომი პერიოდისთვის კალენდარში გათვალისწინებულია ორი დიდი ფანჯარა: პირველი — 5-20 ივნისისთვის, ევროპის ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, მეორე კი 20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე, ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის. უმაღლესი ლიგის გუნდები ამ პერიოდში მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ტურნირებში.

სსრ კავშირის ჩემპიონატის I ტურის მატჩები ჩატარდება 3 აპრილს, ხოლო დასკვნითისა — 8 ნოემბერს, მაგრამ სეზონის ოფიციალური გახსნა მოხდება გაცილებით უფრო ადრე, 5 მარტს, სსრ კავშირის თასის გათამაშებით. თასის დებულებაში შეტანილია ცვლილებები. შეჯიბრების პირველ ეტაპზე მონაწილენი დაიყოფიან 8 ზონად, თითოეულში ითამაშებს უმაღლესი და I ლიგების 4-4 გუნდი. შემდეგ გამარჯვებულნი შექმნიან მეოთხედფინალურ წყვილებს. მეოთხედფინალში და ნახევარფინალში მეტოქენი ერთმანეთთან 2-2 ჯერ ითამაშებენ.

ცვლილებები საკავშირო ჩემპიონატის დებულებაშიც შეგვაქვს. მაგალითად, ძალაში შევა პუნქტი, რომელიც ძირითად შემადგენლობაში გამოსვლას უკრძალავს ფეხბურთელს, თუ მან ვერ ჩააბარა საერთო ფიზიკური მომზადების ნორმატივები. გაძლიერდება ბრძოლა დისციპლინის დამრღვევებთან. მაგალითად, მოთამაშეს, რომელსაც 4 დარღვევა ექნება, მიეცემა დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე. ამას გარდა, არბიტრი, რომელიც ლიბერალობას გამოიჩენს წესრიგის დამრღვევთა მიმართ, აღარ დაიშვება უმაღლესი ლიგის მატჩების სამსაჯოდ.

3 იანვარს მოსკოვში მწვრთნელთა სპეციალური სემინარი მოეწყობა.

მუსიკოსები — სპორტულ სარბიელზე

თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-3 მუსიკალური სასწავლებლის გოგონათა სპარტაკიადის პროგრამაში 5 სახეობა შედიოდა.

საინტერესოდ წარიმართა კალათბურთელთა და ფრენბურთელთა ტურნირები, სადაც 6-6 გუნდი მონაწილეობდა. ორივე სახეობაში I ადგილისთვის ბრძოლა ძირითადად II[1] და II[2] კურსებს შორის მიმდინარეობდა. კალათბურთელთა დასკვნით ტურში სწორედ აღნიშნული გუნდების შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა ჩემპიონობის საკითხი. ანგარიშით 54:29 გაიმარჯვეს მეორეკურსელებმა. ფრენბურთელთა შეჯიბრებაშიც I-II ადგილები იგივე თანმიმდევრობით განაწილდა.

მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირში I ადგილს ერთმანეთს 16 გოგონა ეცილებოდა. საბოლოოდ უძლიერესის სახელი ვოკალური განყოფილების I[3] კურსის მოსწავლე ა. ბაიანდუროვამ მოიპოვა.

ფიზკულტურის კოლექტივებში

დაძაბულად წარიმართა ხომალდთა ასპარეზობა. სასწავლებლის ორგზის ჩემპიონს მ. ნოდიას, მ. ჯანაშიასთან ერთად, ამჯერად III-IV ადგილების გაყოფა მოუხდა. ჩემპიონი კი ნოდიას თანაკურსელი, საფორტეპიანო განყოფილების III[2] კურსის მოსწავლე ნ. იაკობაშვილი გახდა.

ჭადრაკში ყველას აჯობა თეორიული განყოფილების II[2] კურსის მოსწავლე ლ. ბოგვერაძემ. ლალი შარშანაც ჩემპიონი იყო.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა II[2] კურსის წარმომადგენლებს ხვდათ.

გ. დოლენჯაშვილი,
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.

• • •

სურათებზე: ლ. ბოგვერაძე (მარცხნივ) და ნ. იაკობაშვილი.
ავტორის ფოტოები.

ფეხბურთი ნაწყვეტი

მხიარული თუ სატირალი სტარტები?

რუსთავის სპორტდარბაზ „ფოლადში“, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. ტარდებოდა მოსწავლე-პიონერთა შეჯიბრება დევიზით — „მხიარული სტარტები“.

სარბიელზე ოთხი საშუალო სკოლის (1-ლი, მე-2, მე-3 და მე-17) წარმომადგენლები გამოვიდნენ. ოთხივე სკოლის გულშემატკივრებს ცალ-ცალკე ჰქონდათ ადგილები დაკავებული და თავიანთი კუთხეები იუმორისტული სურათებით, მოწოდებებით მოერთოთ.

შეჯიბრების ბოლოს დაწინაურდნენ მე-17 და მე-2 სკოლების ნორჩი სპორტსმენები: თითოეულს 50-50 ქულა ჰქონდა ერთ-ერთ თამაშში მე-17 სკოლის პიონერებმა მეორესკოლელებს 7 ქულით გაუსწრეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამარჯვების ბედი პირველთა სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო. მაგრამ მოხდა გასაკვირი ამბავი: სპორტსკოლის დირექტორმა თ. იმნაიშვილმა და მისმა მოადგილემ ქ. ნაჭყებიამ მე-17 სკოლას არ დაუწერეს ეს მოპოვებული 7 ქულა. სამაგიეროდ, მე-2 სკოლის გუნდს მათ 4 ქულა დაუმატეს რატომ?

მე-17 სკოლის მოსწავლეებმა ტირილით დატოვეს დარბაზი.

მოგებული გუნდის წაგებულად გამოცხადება ნუთუ პედაგოგიურად მართებული ნაბიჯია?

უ. ფილიევი.
რუსთავი.

ჩემპიონები, ლიდერები, აუტსაიდერები

ინგლისი

გათამაშების XX ტურში ლიდერმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ მოუგო „ნოტინგემ ფორესტს“ — 3:2. მანჩესტერელთაგან გოლები გაიტანეს ლოუმ და კიდმა (2).

„დერბი ქაუნთიმ“ შინ აჯობა „მანჩესტერ-სიტის“ — 3:1. თამაში იმდენად უხეში იყო, რომ მანჩესტერელთა სამმა წევრმა ლიმ, ბელმა და სამერბიმ (სამივე ინგლისის ნაკრების ფეხბურთელია) გაფრთხილება მიიღეს.

ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — ლონდონის „არსენალმა“ ფრედ ითამაშა „ვესტ ჰემ იუნაიტედთან“ — 0:0.

აი, ლიდერთა ხუთეული:

	თ.	ბ.	ქ.
„მანჩესტერ იუნაიტედი“	20	46:24	32
„დერბი ქაუნთი“	20	35:16	27
„მანჩესტერ-სიტი“	20	37:20	27
„ლიდს იუნაიტედი“	20	30:17	27
„შეფილდ იუნაიტედი“	20	36:26	25

შოტლანდია

XIV ტურში გათამაშების ლიდერებმა „სელტიკმა“ და „აბერდინმა“ ერთნაირი ანგარიშით (5:1) გაიმარჯვეს: „სელტიკმა“ შინ სძლია „კილმარნოკს“, ხოლო „აბერდინმა“ სტუმრად — „ეირ იუნაიტედს“.

ლიდერთა სამეული ასეთია:

„სელტიკი“	14	45:11	25
„აბერდინი“	14	43:9	24
„ჰართ ოვ მიდლოტიენი“	14	29:19	20

უნგრეთი

ქვეყნის ჩემპიონი და მიმდინარე გათამაშების ლიდერი „უიპეშტ დოჟა“ შინ შეხვდა ეგერის „დოჟას“. ჩემპიონმა ადვილად გაიმარჯვა — 5:1. 3 გოლის ავტორია ფაზეკაში. ბენემ და ტოტმა თითო ბურთი გაიტანეს.

„ფერენცვაროშმა“ დიდი ანგარიშით მოუგო კომლოს „ბანიასს“ — 5:0.

საუკეთესო სნაიპერები არიან ბენე და ფაზეკაში (ორივე — „უიპეშტ დოჟა“).

პირველი ოთხეული ასე გამოიყურება:

„უიპეშტ დოჟა“	15	44:14	24
„ფერენცვაროში“ (ბუდ.)	15	37:16	20
„შალგოტარიანი“	15	26:16	20
„ჰონვედი“ (ბუდაპეშტი)	15	21:12	19

პორტუგალია

X ტურში ლისაბონში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ატლეტიკო“ და „ბენფიკა“. გაიმარჯვა „ბენფიკამ“ — 5:1. მას ჯერჯერობით წაგება არა აქვს.

ლისაბონის „სპორტინგმა“ სძლია ბარეიროს კუფ-ს — 3:0, ხოლო სეტუბალის „ვიტორიამ“ ფრედ ითამაშა გიმარაიშის „ვიტორიასთან“ — 1:1.

ლიდერთა სამეული ასეთია:

„ბენფიკა“	10	28:8	18
„სპორტინგი“	10	20:6	17
„ვიტორია“ (სეტუბალი)	10	23:7	16

ესპანეთი

წლევანდელ სეზონში პირველი მატჩი წააგო გათამაშების ლიდერმა — მადრიდის „რეალმა“: XII ტურში ლას-პალმასში იგი დამარცხდა ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან — 0:2.

ქვეყნის ჩემპიონმა „ვალენსიამ“ ფრედ ითამაშა „ლა კორუნიასთან“ — 1:1.

„რეალი“	12	17:8	17
„ვალენსია“	12	16:8	17
„სევილია“	12	17:12	14

იტალია

VIII ტურში ქვეყნის ჩემპიონი — მილანის „ინტერნაციონალე“ ბოლონიაში შეხვდა ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს. მილანელებმა ფაკეტიმ და ბონინსენიამ (2) სამი „მშრალი“ გოლი გაიტანეს მასპინძელთა კარში.

გათამაშების ლიდერმა — ტურინის „იუვენტუსმა“ მოუგო „ტორინოს“ — 2:1. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ანასტაზიმ და კაპელომ.

საუკეთესო სნაიპერია ბონინსენია („ინტერნაციონალე“) — 7 ბურთი.

ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება.

„იუვენტუსი“	8	17:9	13
„ინტერნაციონალე“	8	16:7	11
„რომა“	8	14:9	11
„მილანი“	8	11:7	11
„ტორინო“	8	11:9	10

ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა“ შინ სძლია „დენ ბოსხს“ — 5:0. როტერდამში ადგილობრივი „ექსცელსიორისა“ და „ფეიენოორდის“ შეხვედრა ჩემპიონის — „ფეიენოორდის“ გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.

„აიაქსი“	16	37:8	29
„ფეიენოორდი“	16	32:6	27
„ტვენტე“	16	23:6	24

ბელგია

ქვეყნის ჩემპიონის — ლიეჟის „სტანდარდის“ ფრე პირველი ლიგის ახალბედა „მეჰელნთან“ (0:0) საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ლიდერობა „ბრიუგეს“ ხელში გადასულიყო. „ბრიუგემა“ შინ მოუგო „ლიერსს“ — 3:0.

„ანდერლეხტი“ ლიეჟში დამარცხდა ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან — 0:1.

„ბრიუგე“	12	26:8	20
„სტანდარდი“	12	24:6	19
„ანდერლეხტი“ (ბრიუს.)	12	26:15	15

რუმინეთი

„ბაკეუმ“ XIII ტურში სძლია ბუქარესტის „დინამოს“ — 3:1.

უტა (არადი)	12	25:9	18
„ბაკეუ“	13	23:19	17
„უნივერსიტატეა“ კლუჟი	13	23:14	16

შვეიცარია

ჩემპიონატის XIII ტურში ციურიხში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები: „ციურიხი“ და „ბაზელი“. უაღრესად დაძაბული შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 3:3.

„ციურიხი“	13	31:13	23
„ბაზელი“	13	30:17	20
„გრასჰოპერსი“ (ციურ.)	12	25:11	18

კიდევ ხუთ-ხუთი შეხვედრა

გადადებული პარტიების დამთავრებამ, რომელიც გუშინწინ მოეწყო, განამტკიცა ა. ალიოხინის მემორიალის ლიდერთა მდგომარეობა. ლ. შტეინმა რ. ბირნთან (აშშ) უარესი პოზიცია გაიყვანა. დაზავდნენ, აგრეთვე, ა. კარპოვი — ვ. ულმანი (გდრ) და ბ. პარმა (იუგოსლავია) — ფ. ოლაფსონი (ისლანდია). ვ. სავონმა დაამარცხა ლ. ლენდიელი (უნგრეთი). კვლავ გადაიდო კარპოვ — მ. ტალის შეხვედრა. ტალს ლაზიერში ორი ეტლი აქვს, რაც მოგების შანსს აძლევს.

გაიმართა ვ. კორჩნოი — ბ. სპასკის XII ტურიდან გამოტოვებული შეხვედრა. გაიმარჯვა კორჩნოიმ.

12 ტურის შემდეგ ლ. შტეინს 8,5 ქულა აქვს, ვ. სმისლოვს, ტ. პეტროსიანს, დ. ბრონშტეინს — 7,5-7,5, ვ. ტუკმაკოვს — 7, მ. ტალს, ვ. კორჩნოის, ა. კარპოვს — 6,5-6,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, რ. ბირნს — 6,5.

წინაა ფინიშის ხუთი ტური. XIII ტური 12 დეკემბერს გაიმართება.

ჩვენი მიმომხილველი

ყველას აინტერესებს: რას იზამს სპასკი ფიშერთან მატჩში? როგორ ემზადება საბჭოთა ჩემპიონი? ეს და ბევრი სხვა კითხვა ახლა, ა. ალიოხინის მემორიალში სპასკის მონაწილეობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აღელვებს მსოფლიო ჩემპიონის გულშემატკივრებს.

თვალი რომ გადაავლოთ მემორიალში სპასკის თამაშს, უკმაყოფილო დარჩებით. 12 ტურის შემდეგ მას მხოლოდ 6 ქულა აქვს. ეს ტექნიკური შედეგია, მაგრამ ჩემპიონი მაინცდამაინც ვერც შემოქმედების მხრივ ბრწყინავს.

სტარტზე, პირველ ორ ტურში, სპასკიმ კარგად მოუგო ლენდიელსა და გეორგიუს (ამჟამად ეს დიდოსტატები აუტსაიდერები არიან). ეს იყო და ეს. მერე მსოფლიო ჩემპიონმა პარტია ვერ მოიგო. პირიქით, ორი წააგო (პეტროსიანთან და კორჩნოისთან) და რვა ყაიმით დაამთავრა.

რა ხდება? მოსკოველი მიმომხილველების აზრით, მსოფლიო ჩემპიონი ამოწმებს თავის თავს, ვარჯიშობს. იგი სხვადასხვა სტილში, სხვადასხვა ამპლუაში თამაშობს, სხვადასხვა სადებიუტო სისტემას იყენებს. მაგალითად, ტალს მწვავე კომბინაციური ბრძოლა აუტეხა, ბრონშტეინს მივიწყებული, უაღრესად რისკიანი დებიუტი — მუფის გამბიტი ეთამაშა, პეტროსიანთან შეხვედრაში მეტოქის იერიში გამოიწვია და ა. შ. მართალია, ამით მან ბევრი ქულა ვერ მოაგროვა, მაგრამ კარგად კი ივარჯიშა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ქომაგებს არ აკმაყოფილებს. მათ სურთ სპასკი მემორიალის პრიზიორად ხედონ. მაგრამ, როგორც ჩანს, ფინიშის ზონარს იგი პირველი ვერ გადაკვეთს. მსოფლიო ჩემპიონს პირველი პრიზი იქნებ გეგმაში არც ჰქონია, — მისი მთავარი ამოცანაა ვარჯიში. საფუძვლიანი, სერიოზული და უშელავათო ვარჯიში. ალბათ ამიტომაცაა, რომ ყველა პარტიას უდიდესი დაძაბულობით, მონდომებით თამაშობს. ამასთან, იგრძნობა, რომ ჩემპიონი რაღაცნაირად შეზღუდულია, მთელი ძალით ვერ იბრძვის. რა უშლის ხელს? ფიშერთან მომავალი მატჩი. სპასკის არ შეუძლია (უფრო სწორად, უფლება არა აქვს) გაამჟღავნოს თავისი სადებიუტო სიახლენი, ახალი ვარიანტები, რომელთა გამოყენებას ამერიკელ დიდოსტატთან მატჩში აპირებს. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონს ვერც ვხედავთ მემორიალის ლიდერთა შორის.

თ. გიორგაძე.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

გადატანილია 13 დეკემბრისთვის

კისლოვოდსკი, 11 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დილით ნ. ალექსანდრიას სეკუნდანტმა, დიდოსტატმა ბ. გურგენიძემ აცნობა ნ. ალექსანდრია (თბილისი) — ა. კუშნირის (მოსკოვი) მატჩის მთავარ არბიტრს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს ო. ტომსონს (მოსკოვი), რომ ავადმყოფობის გამო თბილისელი მოჭადრაკე ვერ ითამაშებს დღეისთვის დანიშნული მატჩის IX პარტიას.

მატჩის არბიტრმა IX პარტია 13 დეკემბრისთვის დანიშნა, რის შესახებ შეატყობინა კიდეც ორივე მეტოქეს.

„სპორტლოტოს“ მორიგი ტირაჟი

სვერდლოვსკი, 10 დეკემბერი. ურალის ამ ქალაქში გაიმართა „სპორტლოტოს“ 34-ე ტირაჟი. აი, ექვსი ბედნიერი ნომერი: 6 (კალათბურთი), 15 (წყალბურთი), 31 (ცურვა), 32 (წყალში ხტომა), 33 (რეგბი), 45 (ფეხბურთი).

ლატარიის შემდეგი ტირაჟი 20 დეკემბერს გაიმართება ერევანში.

▲ ბელგრადი. როგორც იუგოსლავიური პრესა იუწყება, ამ ქვეყნის ცნობილმა ტანმოვარჯიშემ მ. ცერარმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აქტიურ სპორტს თავს ანებებს. მაგრამ ტანვარჯიშს საკუთარი ჯანმრთელობისთვის არ ეთხოვება.

▲ ზალცბურგი. ოლიმპიურ სეზონში აქ გაიმართა ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო შეჯიბრება გიგანტურ სლალომში, რომელშიც 15 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ (ფრანგები სარბიელზე არ გამოსულან). ყველას ავსტრიელებმა აჯობეს. I ადგილი დაიკავა ბლაინერმა, მეორე იყო როფნერი, მესამე — პეხტელი.

▲ პარიზი. საფრანგეთში საერთაშორისო მატჩებს მართავს ავსტრალიის რეგბისტთა ნაკრები. პირველ შეხვედრაში ფრანგებმა იმარჯვეს — 18:9. ამ გუნდების განმეორებითი მატჩი ტულუზაში ავსტრალიელებმა მოიგეს — 13:11.

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

დაემშვიდობა... ფეხბურთს

იმ დღეს, რა დღესაც 50 წელი შეუსრულდა, უნგრეთის ეროვნული თეატრის დირექტორი ოფიციალურად დაემშვიდობა... ფეხბურთს. დირექტორის სახელი და გვარია იშტვან ჟოლტი. იგი მთელს მსოფლიოში ცნობილია, როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის არბიტრი. მაგრამ ახლა ჟოლტმა, როგორც იტყვიან, „სასტვენი ლურსმანზე ჩამოჰკიდა". დადგენილი წესის თანახმად, რეფერის 50 წლის შემდეგ უფლება არა აქვს მინდორზე გამოვიდეს.

ფეხბურთში მსაჯობა ჟოლტმა ამ 33 წლის წინ დაიწყო. ეს ასე მოხდა: იშტვანმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის მოგერიების დროს თითი მოიტეხა, რის გამოც დედამისმა საყვედურებით აავსო: რას ჩასციებიხარ ამ ფეხბურთს, უფრო მშვიდ თამაშს ვერ ამოირჩევო? იშტვანმა შეასრულა დედის თხოვნა, რამდენიმე დღის შემდეგ გამოცდები ჩააბარა და მსაჯის კვალიფიკაცია მიიღო.

ჟოლტს არასდროს უნანია ის, რომ ფეხბურთის თამაშს თავი დაანება.

— ფეხბურთელი რომ ვყოფილიყავი, — ამბობს იგი, — ამდენ ხანს მინდორს ვერ შევრჩებოდი. ჩემს აქტივშია 60 მატჩი სხვადასხვა ქვეყნის ნაკრები გუნდების დონეზე, 100-ზე მეტი საერთაშორისო საკლუბო თამაში, 40 ქვეყანაში ვარ ნამყოფი. ახლა ალბათ უბრალო მაყურებლად ვივლი სტადიონზე და დროდადრო ყველა დანარჩენივით ვიძახებ ტრიბუნებიდან: „მოაშორეთ მსაჯი..."

ერთი თვით ადრე

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩამდე ერთი თვით ადრე, ყოველ პარასკევს, სულ ერთია, დედამიწის რომელ კუთხეშიც უნდა ტარდებოდეს შეხვედრა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრესის სამსახურის მეთაური აცხადებს ამ მატჩის სამი მსაჯის გვარს. ასე გადაწყვიტა ფიფა-ს სამსაჯო კომიტეტმა. ამ გზით თავიდან აცილებული იქნება ხმები, თითქოს დაინტერესებულ ქვეყნებს ხანდახან საშუალება ეძლევათ წინასწარ „მოახდინონ გავლენა" არბიტრებზე.

ჩვეულებრივი ისტორია

მიგუელ მონტუორი ჩილიში დაიბადა, მაგრამ წარმატებით თამაშობდა არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ არგენტინისა და იტალიის გუნდებშიც. ყველაზე დიდ წარმატებას მან იტალიის კლუბ „ფიორენტინაში" მიაღწია. 1955-56 წლების სეზონში იგი გუნდთან ერთად ლიგის ჩემპიონი იყო, თამაშობდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში. მაგრამ 1959 წელს მონტუორი საწვრთნელი მეცადინეობის დროს დაშავდა და იძულებული გახდა ფეხბურთი მიეტოვებინა.

ერთხანს მონტუორი საფეხბურთო კარიერის მანძილზე დაგროვილი ფულით ცხოვრობდა, მერე კი დიდხანს უშედეგოდ ეძებდა სამუშაოს. ისტორია უფერულად დამთავრდა: ცნობილმა ფეხბურთელმა ძლივს მოუყარა თავი ორიოდე კაპიკს, რათა სამშობლოში დაბრუნებულიყო ყველაზე იაფფასიანი ტრანსპორტით — ბანანის გადასაზიდი გემით.

საგარეო პრესიდან

„ასეთ გამარჯვებას არ ველოდი"

კანბერა, 10 დეკემბერი (საქინფორმის კორ. ბ. ჩეხონინი). „ძალიან გახარებული ვარ, ასეთ გამარჯვებას არ ველოდი", — მითხრა შეინ გოულდმა, როცა ტელეფონით მივულოცე საქინფორმის სპორტული რედაქციის ანკეტაში პირველ ადგილზე გასვლა.

გოულდთან შეხვედრა ახლა თვით სიდნეელებისთვისაც არ არის იოლი, თუმცა შეინი მათს ქალაქში ცხოვრობს. ახალგაზრდა ჩემპიონს ყოველი წუთი რამდენიმე დღით ადრე აქვს განაწილებული. საზაფხულო ოლიმპიური თამაშები მოახლოვდა და შეინი აქტიურად ემზადება ამ დიდი შეჯიბრებისთვის. როცა გაზეთ „კანბერა ტაიმსის" სპორტული მიმომხილველის დახმარებით შევძელი მისი პოვნა, მსოფლიო რეკორდსმენი მწვრთნელთან ერთად აუზში ვარჯიშობდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ოლიმპიადამდე დარჩენილ დღეებში გოულდის მთელი ცხოვრება ცურვასა და სკოლას ეთმობა. მოკრძალებული და თავშეკავებული ნორჩი რეკორდსმენი სიდნეის საშუალო სკოლაში სწავლობს.

გოულდი მრავალმხრივი სპორტსმენია, მაგრამ ცურვა ყველაზე მეტად უყვარს. შეინი უთენია დგება და აუზში გაკვეთილების დაწყებამდე სამ ან ოთხ მილს ცურვით გადის. სკოლის შემდეგ იგი კვლავ აუზზე ბრუნდება და წყალში ორ საათს მაინც ატარებს.

ავსტრალიელები გოულდს „ეროვნულ სპორტულ სასწაულს" ეძახიან. იგი მართლაც თავისებური ფენომენია: ერთი წლის მანძილზე 4 მსოფლიო რეკორდი დაამყარა და ახლა ახალი მიღწევებისთვის ემზადება. შეინს განზრახული აქვს ოლიმპიური თამაშებიდან რაც შეიძლება მეტი მედალი წაიღოს შინ, მერე კი „როგორც ჩანს" დატოვებს დიდ სპორტს. მშობლები მოითხოვენ, რომ შეინმა მეტი დრო დაუთმოს სკოლაში მეცადინეობას.



◆ ვიტებსკი, 11 დეკემბერი. ადგილობრივმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ დღეს აღნიშნა ბავშვთა და მოზარდთა № 1 სპეციალიზებული სპორტსკოლის დაარსების 25 წელი. ამ სკოლის კედლებში აღიზარდა ცნობილი სპორტსმენების მთელი პლეადა. აქ დაიწყეს თავიანთი გზა სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. დმიტრიევმა, ცნობილმა ტანმოვარჯიშეებმა — ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. პეტრიკმა, ევროპის ჩემპიონმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა თ. ლაზაკოვიჩმა. ბოლო ათი წლის მანძილზე სკოლაში მომზადდა 40-ზე მეტი სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი, 1700-ზე მეტი თანრიგოსანი, ასობით საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მსაჯი. ახლა აქ 430 ჭაბუკი და გოგონა ეუფლება აკრობატიკას, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშს. სულ კი ქალაქში ბავშვთა 11 სპორტსკოლა მუშაობს.

Თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა ამერიკული ფეხბურთი გახლავთ. იგი ამ კონტინენტის მცხოვრებთ კალათბურთზე უფრო მეტადაც კი უყვართ. ამერიკული ფეხბურთის მატჩებს მუდამ აურაცხელი მაყურებელი ესწრება. სპორტის ეს სახეობა მეტად სახიფათოა: მიუხედავად საგანგებო ჩაცმულობისა, მაინც ხშირია მოთამაშეთა დაშავების შემთხვევა.

ამ სურათებზე ამერიკული ფეხბურთის თამაშის ორი მომენტია აღბეჭდილი. მარცხენა სურათზე — რ. უაიტი (№ 18) ბურთით ხელში ახტება თანაგუნდელებსა და ერთ-ერთ მეტოქეს, არმიელ დ. სტილს (№ 24) და მოწინააღმდეგის კარისკენ მიიწევს. მარჯვენა სურათზე — გ. ბოდველი (მიჩიგანის შტატი) ახტება მეტოქე გუნდის — ინდიანის შტატის ნაკრების მოთამაშე დ. ლინტნერს. ამ ფოტოს გადაღებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ბოდველმა ანგარიში გახსნა.

ასოშიეიტედ პრესის ფოტოები.





ობიექტივში მსოფლიო

Ინდიანაპოლისის ტრასაზე ასპარეზობისას ტამპელი (ფლორიდა) ავტომრბოლელის რ. ლიგოურის მანქანა მესერს დაეჯახა და ამოყირავდა. ლიგოური ბედნიერად გადაურჩა ხიფათს — გაოგნებული სპორტსმენი საღ-სალამათი გამოძვრა მანქანიდან.

ჯ. ბარნეის ფოტო.
(ასოშიეიტედ პრესი).



შეწყდეს კერძო საქმიანობა!

გფრ-ის წყალბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებმა 1972 წლის 1 იანვრიდან უნდა შეწყვიტონ ყოველგვარი კერძო საქმიანობა და მთელი ყურადღება ოლიმპიადისთვის მზადებას დაუთმონ. ეს, ფედერაციის აზრით, საჭიროა იმისთვის, რომ ნაკრების ხელმძღვანელობამ ხელთ იგდოს მთელი ძალაუფლება და ოლიმპიელთა წვრთნა თავისი გეგმის შესაბამისად წარმართოს.

რ. ბ. ფაჩულია

ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ერთგული მუშაკი, ფარიკაობის შესანიშნავი სპეციალისტი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი როსტომ (ჯანიკო) ბესარიონის ძე ფაჩულია.

რ. ფაჩულია დაიბადა 1925 წელს ხაშურის რაიონის სოფელ გომში. 1942 წელს დაამთავრა სოფელ ვაყის საშუალო სკოლა. შემდეგ წელიწადს საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს, სადაც 1950 წლამდე დარჩა.

იმავე წელს რ. ფაჩულია საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ჩაირიცხა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1954 წელს, იგი ქარელის რაიონში გაგზავნეს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ. აქ რ. ფაჩულია 1956 წლამდე მუშაობდა, რის შემდეგაც რუსთავში გადაიყვანეს სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზე იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა.

რუსთავში ფაქტიურად რ. ფაჩულიას ჩასვლის დღიდან დაიწყო ფარიკაობის დანერგვა. ახალგაზრდა სპეციალისტი ბოლომდე სპორტის ამ სახეობის ერთგული დარჩა. თავად რ. ფაჩულია თავის დროზე კარგ მოფარიკავედ ითვლებოდა და წლების მანძილზე წარმატებით იცავდა საქართველოს ნაკრები გუნდის ღირსებას საკავშირო შეჯიბრებებში.

რ. ფაჩულია ფარიკაობაში მსაჯთა კოლეგიისა და მწვრთნელთა საბჭოს წევრი იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკური ფედერაციის ყოველდღიურ საქმიანობაში.

ფიზკულტურასა და სპორტში ნაყოფიერი მუშაობისთვის რ. ფაჩულია რამდენიმეჯერ დაჯილდოვდა რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" სიგელებით. იგი საქმის შესანიშნავი ორგანიზატორი და ენერგიული მუშაკი იყო. სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით, იყო კარგი მეოჯახე და მეგობარი, გულისხმიერი ამხანაგი, ერთგული მასწავლებელი და სპორტსმენი.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი,
„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭო,
ფარიკაობის რესპუბლიკური ფედერაცია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ცხოვრება

ქართული ჭიდაობა. სპორტის სასახლე. 12-13 დეკემბერი. საქართველოს აბსოლუტური პირველობა გამოჩენილი ქართველი ფალავნის სანდრო კანდელაკის სახელობის თასზე. დასაწყისი: 12 დეკემბერს — 18 ს., 13 დეკემბერს — 19 ს.